№ 1-01-017

10/07/2025

ბრძანება

ქ. ბაღდათი

შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს შრომის კოდექსის და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების, „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის“ (შემდგომში - აკადემია) წესდებით მონიჭებული უფლებამოსილების, „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დებულებისა და ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის №01-01-015 ბრძანების, „შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2025 წლის 1 ივლისის №01-01-016 ბრძანებისა და მოქმედი შრომითი ხელშეკრულებით აკადემიაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს შიდა კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) აკადემიის განახლებული საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებზე (გარდა დირექტორის 2 მოადგილის პოზიციისა), აკადემიის იმ თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის მიზნით, რომელთა შრომის ხელშეკრულება ამ ბრძანების გამოცემის დღისთვის მოქმედია.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კონკურსი ცხადდება შემდეგი საშტატო პოზიციების დასაკავებლად:
ა) ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - 1 ვაკანსია;
ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი - 1 ვაკანსია;
გ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორი - 1 ვაკანსია;
დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი - 1 ვაკანსია;
ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის კოორდინატორი - 2 ვაკანსია;
ვ) ბიბლიოთეკარი - 1 ვაკანსია;
ზ) საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი - 1 ვაკანსია;
თ) საქმისწარმოების კოორდინატორი - 1ვაკანსია;
ი) ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი - 1 ვაკანსია;
კ) ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი - 1 ვაკანსია;
ლ) ბუღალტერი - 1 ვაკანსია;
მ) მატერიალური რესურსების კოორდინატორი - 1 ვაკანსია;

ნ) ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი - 1 ვაკანსია;
ო) ექიმი - 1 ვაკანსია.

3. კონკურსი ჩატარდეს ორ სავალდებულო ეტაპად:
ა) განცხადებისა და CV-ის წარდგენა;
ბ) გასაუბრება.
4. განცხადება და CV, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გამოგზავნილ უნდა იქნას **2025 წლის 14 ივლისის 10:00 საათიდან 16 ივლისის 18:00 საათის ჩათვლით,** აკადემიის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: **info@weaedu.ge.** სათაურის ველში (subject) უნდა მიეთითოს საშტატო პოზიციის დასახელება.
5. ამ ბრძანების მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი კონკურსის სავალდებლო ეტაპი - **გასაუბრება ჩატარდეს 2025 წლის 18 ივლისს.** გასაუბრებაზე გამოცხადების დრო კონკურსანტს ეცნობოს პირად ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით.
6. ამ ბრძანების მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განცხადებისა და CV-ის წარდგენა წარმოადგენს დაინტერესებული თანამშრომლის/კანდიდატის მიერ ინტერესის დაფიქსირებას კონკრეტული საშტატო პოზიციის მიმართ, რომელსაც თვლის, რომ შეესაბამება მის კვალიფიკაციასა და სამუშაო გამოცდილებას.
7. შესაძლებელია ამ ბრძანებით განსაზღვრული გასაუბრების პროცესი წარიმართოს ელექტრონულად.
8. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას დროებითი საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით, გონივრულ ვადაში. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეულ იქნას გარეშე პირები.
9. კომისიამ უნდა უზრუნველყოს:
ა) გასაუბრებაზე კითხვების შინაარსი გამომდინარეობდეს დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკიდან და საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული საკითხების დასაზუსტებლად მოითხოვოს ამ საკითხების მოკლე მიმოხილვა;
ბ) გასაუბრების ეტაპზე მხედველობაში მიიღოს კონკურსანტის/თანამშრომლის შეფასების შედეგები (აკადემიაში ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) წარუდგინოს აკადემიის დირექტორს კანდიდატები, განახლებული საშტატო განრიგით განსაზღვრულ პოზიციებზე დასანიშნად;
დ) შერჩევის პროცესი წარმართოს სამართლიანად და არადისკრიმინაციულად.
10. დირექტორის ბრძანება ვაკანტურ პოზიციებზე პირთა დანიშვნის შესახებ გამოიცემა 2025 წლის 21 ივლისს. დანიშნული პირის სამუშაო პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.
11. განმეორებით იქნას გაფრთხილებული აკადემიის ყველა თანამშრომელი, რომელთა შრომითი ხელშეკრულება ამ ბრძანების გამოცემის დღისთვის მოქმედია, რომ მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულება შეწყდება, თუკი მათი დანიშვნა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე საშტატო პოზიციაზე არ მოხდება ერთ-ერთი მხარის (დამსაქმებლის ან დასაქმებულის) ინიციატივით. ამ შემთხვევაში, გათავისუფლებულ თანამშრომელს მიეცემა კომპენსაცია 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.
12. ამ ბრძანების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილების შესახებ პირველ ცნობად ჩაითვალოს „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დებულებისა და ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N01-01-015 ბრძანების მე-2 პუნქტში მოცემული ინფორმაცია/ შეტყობინება. აღნიშნული ბრძანება განთავსდა აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე, აკადემიის ყველა თანამშრომელს ელ.ფოსტაზე გაეგზავნა.

13. წინამდებარე ბრძანების ასლი გაცნობის მიზნით გაეგზავნოს პირად ელ.ფოსტაზე აკადემიის ყველა თანამშრომელს, რომელთა შრომის ხელშეკრულება ამ ბრძანების გამოცემის დღისთვის მოქმედია და ასევე განთავსდეს აკადემიაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ბაღდათის რაიონულ (მაგისტრატ) სასამართლოში (მის.: ქ. ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

მსოფლიო განათლების აკადემია
დირექტორი
რომანოვა მარია